

შპს “ვიონი საქართველოს”

ურთიერთჩართვის მონვევის ოფერტა

2018 წელი

ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადება

1. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების მისამართები:

- ა) ქ. თბილისი, ფარნავაზის ქუჩა #6
- ბ) ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი #31
- გ) ქ. ქუთაისი წერეთლის ქუჩა#186
- დ) ქ. ბათუმი აღმაშენებლის ქუჩა #13

2. ურთიერთჩართვის წერტილში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობა

ურთიერთჩართვის წერტილში გამოყენებული ინტერფეისებია:

- G 703, SS7 სიგნალიზაცია

3. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების ტარიფები

მოხილურ ქსელში ურთიერთჩართვის (ლოკალური ზარის წამოწყება/დასრულების) ტარიფი -

3.5 თეთრი, დღგ-ს ჩათვლით.

ტრანზიტული გატარების ტარიფი საქართველოს ტერიტორიაზე – 1 თეთრი/წთ, დღგ-ს ჩათვლით.

ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულების) ტარიფი -

4 თეთრი, დღგ-ს ჩათვლით.

ტრანზიტული გატარების ტარიფი საქართველოს ტერიტორიაზე – 1 თეთრი/წთ, დღგ-ს ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. ანგარიშსწორების პირობები იყოფა რამდენიმე კატეგორიად, კერძოდ:

4.1.1. ანგარიშსწორების პირობები იმ ავტორიზებულ პირებთან, რომლებიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესაბამისი გადანაცვლებების საფუძველზე ცნობილნი

არიან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამონწყება/დასრულების) მომსახურების ბაზრის სეგმენტ(ებ)ზე;

4.1.2. ანგარიშსწორების პირობები იმ ავტორიზებულ პირებთან, რომლებიც არ არიან ცნობილნი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად (4.1.1 პუნქტით განსაზღვრული პირების გარდა ნებისმიერი პირი);

4.2. 4.1.1 პუნქტით განსაზღვრულ პირებთან ანგარიშსწორების პირობები განსაზღვრულია ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად, კერძოდ:

4.2.1. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება განუყოფელი მომსახურებების შესახებ შედარების აქტის საფუძველზე, სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა.

4.2.2. შედარების აქტში აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების სახეები, ინფორმაცია ტრაფიკის შესახებ წამობრივი დამრგვალებით, მხარეთა კუთვნილი თანხები და საბოლოოდ გადასახდელი თანხა. მხარეები ერთმანეთს ელექტრონული ფოსტის გამოყენებით უგზავნიან ინფორმაციას მათ მიერ განუყოფელი მომსახურების შესახებ (განუყოფელი მომსახურების სახის, მისი ოდენობისა და საფასურის მითითებით) არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა (“ვიონი საქართველოსთვის” მონაცემების მიწოდება ხდება ელექტრონული ფოსტის მისამართზე billing@beeline.ge). მეორე მხარის მიერ მონაცემების დროულად არ წარმოდგენის შემთხვევაში განუყოფელი მომსახურებების შესახებ შედარების აქტის შედგენა ხდება “ვიონი საქართველოს” მონაცემების საფუძველზე. “ვიონი საქართველო” განუყოფელი მომსახურებების შესახებ შედარების აქტს მეორე მხარეს უგზავნის არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა (მათ შორის, შესაძლებელია შედარების აქტის ელექტრონული სახითაც გაგზავნა), ხოლო მეორე მხარე თავისი მხრიდან ხელმოწერილ ამავე შედარების აქტის ერთ ეგზემპლარს “ვიონი საქართველოს” უბრუნებს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა.

4.2.3. შედარების აქტის გაფომებისას მხარეთა შორის შესაძლებელია წარმოიშვას წინააღმდეგობა მათ მიერ განუყოფელი მომსახურებების ოდენობებზე. ორამზროვნების თავიდან აცილების მიზნით, წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით და წინამდებარე პუნქტის მიხედვით დადგენილი პირობების დაცვით მეორე მხარეს წარუდგენს გადაანგარიშების მოთხოვნას შედარების აქტის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. მხარის მიერ გადაანგარიშების მოთხოვნაში დაფიქსირებული უნდა იყოს დარიცხული თანხის რა ნაწილის ეთანხმება იგი და რას არა, რა საფუძველით ხდის სადაოდ დარიცხულ თანხას. ასევე, გადაანგარიშების მოთხოვნას თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი, თუ სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მხარის მოთხოვნის საფუძველიანობას.

4.2.4. 4.2.3. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება ინარმოებს ორმხრივად შეთანხმებულ ანუ არასადაო ნაწილზე, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. მეორე მხარე “ვიონი საქართველოს” აწვდის სადაო თვის სასადგურო ჩანაწერებს და სხვა საჭირო მონაცემებს. გადაანგარიშების მოთხოვნის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შეუთანხმებელ ნაწილზე მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში სწავლობს

მხარეთა მიერ წარმოდგენილ შესაბამის დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს შეუთანხმებელი ნაწილის შეთანხმებას. ანგარიშსწორება განხორციელდება შეთანხმების ოქმის საფუძველზე ოქმის შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას თითოეული უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უმიზეზოდ უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე ან/და შეგნებულად ხელს უშლის ერთობლივი კომისიის მუშაობას, “ვიონი საქართველო” ურთიერთჩართვის მომსახურების საფასურის სრული ოდენობით მისაღებად უფლებამოსილია შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს მომსახურების განწევა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.2.5. ყველა სხვა შემთხვევაში (მათ შორის, როდესაც ერთ-ერთი მხარე არ აწერს ხელს შედარების აქტს), ანგარიშსწორება იწარმოებს “ვიონი საქართველოს” მიერ „კომპანიისადმი“ წარდგენილი განუელი მომსახურებების შესახებ შედარების აქტში დაფიქსირებული თანხების სრული ოდენობით წინამდებარე ოფერტითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

4.3. 4.1.2 პუნქტით განსაზღვრულ პირობებთან ანგარიშსწორების პირობები განსაზღვრულია ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად, კერძოდ:

4.3.1. ურთიერთჩართვის მსურველი ავტორიზებული პირი ვალდებულია წინასწარ, ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმებამდე ან/და გაფორმების შემდეგ წერილობითი ფორმით წარუდგინოს (თვის დასაწყისამდე) “ვიონი საქართველოს” ყოველთვიური სავარაუდო პროგნოზი (შემდგომში - პროგნოზი), მის მიერ “ვიონი საქართველოს” ქსელში ან/და მისი ქსელის მეშვეობით დასასრულებელი/დასატერმინირებელი წუთების ოდენობის შესახებ.

4.3.2. ავტორიზებული პირის მიერ 4.3.1 პუნქტის მიხედვით გაკეთებული პროგნოზი წარმოადგენს მის მიერ “ვიონი საქართველოსთვის” წინასწარ, ავანსის ან/და მის მიერ ყოველთვიური ფინანსური ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოსადგენი/წარმოდგენილი საბანკო გარანტიის (საბანკო გარანტიაში იგულისხმება მხოლოდ საქართველოში მოქმედი ბანკების მიერ გაცემული საბანკო გარანტია) თანხის გამოანგარიშების ძირითად საფუძველს.

4.3.3. ავტორიზებული პირი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს/შეარჩიოს “ვიონი საქართველოს” წინაშე მის მიერ ნაკისრი ყოველთვიური ფინანსური ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებიდან (ავანსი, საბანკო გარანტია) მისთვის ხელსაყრელი საშუალება.

4.3.4. ავტორიზებული პირი ვალდებულია ყოველდღიურად აკონტროლოს მის მიერ “ვიონი საქართველოსგან” მისაღები/მიღებული ურთიერთჩართვის მომსახურების მოცულობა; 4.3.6. ავტორიზებული პირი ვალდებულია დაუყონებლივ გადაუხადოს “ვიონი საქართველოს” მიღებული ურთიერთჩართვის მომსახურების ღირებულება, თუ განუელი მომსახურების ღირებულება გაუტოლდება ავტორიზებული პირის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიით გათვალისწინებულ თანხას ან/და სრულად გაიხარჯება ავანსის სახით გადახდილი თანხა.

4.3.5. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, 4.1.2 ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობებზე ასევე ვრცელდება 4.2.2-4.2.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები. გამონაკლისს წარმოადგენს ის დებულებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის 4.3 პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშსწორების პირობებთან.

4.3.6. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, 4.1.2 პუნქტით განსაზღვრული ავტორიზებული პირების მიერ “ვიონი საქართველოსაგან” მიღებულ ურთიერთჩართვის მომსახურებაზე თანხების გადახდის ვალდებულება ჯერჯერობდა შესრულებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ დღიდან, როდესაც ავტორიზებული პირის მიერ გადახდილი თანხა აისახება/ჩაირიცხება “ვიონი საქართველოს” საბანკო ანგარიშზე ან/და „ავტორიზებული პირის მიერ “ვიონი საქართველოსთვის“ წარდგენილია თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დადგენილი წესით დადასტურებული საბანკო დანვსებულების მიერ).

4.4. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას მათ მიერ განეულ მომსახურებაზე მოახდინონ მეორე მხარისათვის დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის.

5. არაპირდაპირი ურთიერთჩართვის პირობები

“ვიონი საქართველოსთან” არაპირდაპირი, ტრანზიტული კავშირის ოპერატორის საშუალებით ჩართვის შემთხვევაში, “ვიონი საქართველოსთან” არაპირდაპირ ურთიერთჩართული ოპერატორი უზრუნველყოფს ყველა სატრანზიტო ხარჯის დაფარვას, მათ შორის, მისი ქსელიდან წამოწყებული და “ვიონი საქართველოს” ქსელში დასრულებული, აგრეთვე “ვიონი საქართველოს” ქსელიდან წამოწყებული და მის ქსელში დასრულებული ზარების სატრანზიტო მომსახურების საფასურის გადახდას.

6. საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდებაზე, მსურველი პირისგან აქცეპტის თაობაზე განაცხადის განხილვის პირობები და პროცედურები

6.1. ურთიერთჩართვის ხელშეკრულების დადების მსურველი პირი წერილობითი

ფორმით, განაცხადით მიმართვას “ვიონი საქართველოს” (განაცხადი ბარდება “ვიონი საქართველოს” ცენტრალურ ოფისში, მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ.#8 (მტკვრის მარჯვენა სანაპირო))

6.2. განაცხადში მითითებული უნდა იყოს ურთიერთჩართვის გასახორციელებლად

აუცილებელი ინფორმაცია, მათ შორის: ავტორიზებული პირის ქსელის აღწერა, სავარაუდო ტრაფიკის მოცულობა, მათი გამიჯვნა ადგილობრივ და საერთაშორისო ზარებად (პროვოზი), სიგნალიზაციის ტიპი, გამოყენებული ინტერფეისი, ურთიერთჩართვის მსურველი პირის მომსახურების სახეები და ტარიფები, ელექტრონული ფოსტის მისამართი და სხვა.

6.3. განაცხადთან ერთად ავტორიზებული პირი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) მოთხოვნილ მომსახურებაზე ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ;

ბ) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან;

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) გასააქტიურებელი ნუმერაციის რესურსის სალიცენზიო მონუმობის ასლი ან/და ნებართვის ასლი ან/და სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ ნუმერაციის ფლობის ფაქტს;

ე) წინამდებარე ოფერტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შესრულებს წინამდებარე ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;

ვ) განმცხადებლის მიერ “ვიონი საქართველოს” წინაშე შესასრულებელი ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებიდან ერთ-ერთი, კერძოდ:

- გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა სულ მცირე უნდა აღემატებოდეს ორ თვეს. აღნიშნული საბანკო გარანტია იქნება „ავტორიზებული პირის“ მიერ “ვიონი საქართველოს” წინაშე ნაკისრი ფინანსური ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება. საბანკო გარანტიის ოდენობა დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ “ვიონი საქართველოს” ქსელში დასატერმინირებელი/დასასრულებელი წუთების რაოდენობაზე/ღირებულებაზე, რომელიც ასახული უნდა იყოს განმცხადებლის მიერ გაკეთებულ „პროგნოზში“. ამასთან, წინამდებარე გარანტიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის (მათ შორის, ღირებულება, საკომისიო და ა.შ.) განევას უზრუნველყოფს განმცხადებელი;

- “ვიონი საქართველოს” საბანკო ანგარიშზე (რომელსაც “ვიონი საქართველო” მიაწოდებს წინასწარ) ავანსის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი. ზემოთაღნიშნული ავანსის ოდენობა დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ “ვიონი საქართველოს” 6 ქსელში ან/და მისი გავლით დასატერმინირებელი/დასასრულებელი წუთების რაოდენობაზე/ღირებულებაზე, რომელიც ასახული უნდა იყოს განმცხადებლის მიერ გაკეთებულ „პროგნოზში“. ამასთან, წინამდებარე ავანსთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის (მათ შორის, გადარიცხვის საკომისიო და ა.შ.) განევას უზრუნველყოფს განმცხადებელი;

6.4. განმცხადებელს განაცხადის გაკეთების მომენტისათვის არ უნდა გააჩნდეს “ვიონი საქართველოს” წინაშე შესასრულებელი ფინანსური ვალდებულება (დავალიანება).

6.5. განმცხადებლის მიმართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში “ვიონი საქართველო” შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 6.2 და 6.3 პუნქტებში დაფიქსირებულ მოთხოვნებს. თუ კი განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს ხსენებული პუნქტებით დაფიქსირებული რომელიმე მოთხოვნიდან ერთ-ერთს ან/და გააჩნია დავალიანება “ვიონი საქართველოს” მიმართ, მას ეცნობება ამის შესახებ და ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა.

6.6. თუ განმცხადებელი აკმაყოფილებს 6.2 და 6.3 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მას განაცხადის და დოკუმენტაციის ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პროექტი ან/და ელექტრონული სახით გადაეგზავნება მის მიერ მითითებულ მისამართზე.

7. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების ვადა.

მონვევის ოფერტაზე მსურველი პირის მიერ განაცხადის წარმოდგენის თარიღიდან – 20 კალენდარული დღე.

8. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებისა და დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პროცედურები და პირობები.

დამატებითი სიმძლავრე შეიძლება გამოეყოს მხოლოდ ურთიერთჩართულ ოპერატორს. ასეთი მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, შესაბამისი დასაბუთებით (მათ შორის, ტრაფიკის ანალიზი).

9. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებისა და დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის ვადა.

დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის ვადაა მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღე. ეს ვადა იმოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი სიმძლავრის უზრუნველყოფა არ მოითხოვს არსებულ ქსელში ტექნიკური საშუალებების დამატებას.

10. თანალოკაციის ფართით სარგებლობის პირობები.

თანალოკაციის ფართით სარგებლობის შესახებ “ვიონი საქართველოსა” და მსურველ ავტორიზებულ პირს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. ავტორიზებული პირისათვის თანალოკაციის ფართით გამოყოფის საფუძველია მხარეებს შორის მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულება და ტერმინალის განთავსების ორმხრივად შეთანხმებული სქემა. აპარატურის განთავსების, აგრეთვე აპარატურის მოხსნის შემთხვევაში მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

თანალოკაციის ფართზე ურთიერთჩართვის აპარატურის განთავსების პირობებია:

ა) ურთიერთჩართვისათვის გამოყენებული ტერმინალი (შიდა ბლოკი). უნდა თავსდებოდეს სტანდარტულ 19 დიუმიან ღვარზე, ხოლო მისი სიმაღლე და სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 40სმ-ს;

ბ) მოხმარებული ელექტროენერგიის სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 150 ვტ-ს;

გ) “ვიონი საქართველო” უზრუნველყოფს მუდმივი დენის გარანტირებულ ელექტროკვებას -48 ვოლტი ძაბვით, აგრეთვე თანალოკაციის ფართის სათანადო კონდიციონებას.

იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთჩართვის განხორციელებისთვის თანალოკაციის ფართის მსურველ ავტორიზებულ პირს ესაჭიროება რადიოსარელეო კავშირის ორგანიზება, მას “ვიონი საქართველოს“-ისანძაზე თბილსსა და ბათუმში გამოეყოფა ფართი ანტენის დამონტაჟებისათვის, კერძოდ: თანალოკაციის ფართის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ანძაზე არაუმეტეს 0,6მ დიამეტრის პარაბოლური ანტენის განთავსებისთვის.

თანალოკაციის ფართზე დაშვების პირობები:

ა) თანალოკაციის ფართზე ავტორიზებული პირის წარმომადგენელი დაიშვება მხოლოდ “ვიონი საქართველოსთან” შეთანხმებით და “ვიონი საქართველოს” ან “ვიონი საქართველოს” შესაბამის კონტრაქტორის წარმომადგენლის თანდასწრებით;

ბ) ინფორმაცია დაშვების ყოველი შემთხვევის შესახებ აღირიცხება სპეცილურ ჟურნალში, რომელშიც მიეთითება ავტორიზებული პირის წარმომადგენლის სახელი და გვარი, პირადი

ნომერი, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, ნომერი და თარიღი, დაშვების მიზანი, შესრულებული სამუშაო. ჩანაწერი დასტურდება “ვიონი საქართველოს” წარმომადგენლისა და თანალოკაციის ფართზე დაშვებული პირის ხელმოწერით.

თანალოკაციის ფართით სარგებლობის, ელექტროენერჯით უზრუნველყოფის, კონდიციონერების და ანტენის განთავსების საფასური შეადგენს თვეში 150 (ასორმოცდაათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

11. ექსტრაორდინალურ და ფორს-მაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები

11.1. “ვიონი საქართველომ” და მასთან ურთიერთჩართულმა ოპერატორმა 10 სამუშაო დღით ადრე უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის სარემონტო ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთჩართვის ტრაფიკის გატარების შეფერხება.

11.2. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის ყველა იმ დაზიანების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებაზე და შესთავაზოს ალტერნატიული გზები ტრაფიკის გასატარებლად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

11.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

11.4. “დაუძლეველი ძალის” ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

11.5. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, დიდთოვლობა და სხვა), აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიის აქტები), საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.

11.6. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისთვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით.

12. “ვიონი საქართველოს” ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, შეჩერებისა შეწყვეტის პირობები

12.1. 4.1.2 პუნქტის მიხედვით განსაზღვრულ პირებთან ურთიერთჩართვის ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

12.1.1. ავტორიზებულ პირს შეუჩერდება მომსახურების განწევა როდესაც ავტორიზებული პირის მიერ ავანსის ან/და ავანსის და 4.3.4 პუნქტის საფუძველზე გადახდილი თანხა მთლიანად იქნება გახარჯული “ვიონი საქართველოს” მიერ განეულ მომსახურებაში.

12.1.2. ხელშეკრულება მოქმედებს იმ ვადამდე, სანამ ავტორიზებული პირის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიით (მხოლოდ საქართველოში მოქმედი ბანკების მიერ გაცემული საბაკო გარანტია) განსაზღვრული თანხის ოდენობა არ გაუტოლდება “ვიონი საქართველოს” მიერ განეული მომსახურების ღირებულებას და განეული მომსახურების ღირებულება არ არის გადახდილი ავტორიზებულ პირის მიერ.

12.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა იწვევს ავტორიზებულ პირთან ურთიერთჩართვის გაუქმებას, რაც ხორციელდება ავტორიზებული პირის ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე. აღნიშნული არ გამოირიცხავს, “ვიონი საქართველოს” უფლებას კვლავ აღადგინოს ურთიერთჩართვის ხელშეკრულება, თუ ავტორიზებული პირის მიერ აღმოფხვრილი იქნება ურთიერთჩართვის ხელშეკრულების შეწყვეტის/გაუქმების საფუძვლები. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მსგავს შემთხვევაში ურთიერთჩართვის ფიზიკური აღდგენა განხორციელდება მინიმუმ სამი სამუშაო დღის ვადაში.

12.3. ურთიერთჩართვის ხელშეკრულების შეჩერების საფუძველს წარმოადგენს “ვიონი საქართველოს” გონივრული და საფუძვლიანი ეჭვი, რომელიც დაკავშირებული იქნება ავტორიზებული პირის მიერ მისაღები მომსახურების თაღლითური (“ფროდის”) მიზნით გამოყენებასთან (ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად აღნიშნულში, მათ შორის, მოიზარება “ა” ნომრის ცვლილება, საერთაშორისო ზარების გადაკეთება ლოკალურ ზარად ან/და ლოკალური/ადგილობრივ ზარებთან ერთად საერთაშორისო ზარების დასრულება, თუ ავტორიზებული პირის მიერ გაცხადებული იყო მხოლოდ ადგილობრივი ზარების დასრულება. მსგავს შემთხვევაში, “ვიონი საქართველოს” მიერ დაუყოვნებლივ განხორციელდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმირება, მათ შორის, ოფიციალური ელ. ფოსტის მეშვეობით და შესაბამისი მტკიცებულებების მიწოდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლებით.

13. მონვევის ოფერტის მოქმედების ვადა

მონვევის ოფერტა მოქმედებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მისი გამოქვეყნებიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.